დასკვნა:**დ05. 3726254001**
თარიღი:**11/09/2026**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 ნოემბრის №61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. ოზურგეთი
11.09.2026

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა საკითხი – „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 ნოემბრის №61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

წარმოდგენილი საკითხის განხილვისას კომისიამ ყურადღება გაამახვილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს პერსონალურ შემადგენლობაში განსახორციელებელ ცვლილებაზე.

კერძოდ, კომისიამ ცნობად მიიღო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებას ახორციელებს ნათია გოლიაძე, რომელიც აღნიშნულ თანამდებობაზე წარმოადგენს შესაბამის კომისიას და, შესაბამისად, საბჭოს პერსონალურ შემადგენლობაში ტატა ბარამიძის ადგილმონაცვლედ განისაზღვრება.

კომისიამ ასევე იმსჯელა იმ გარემოებაზე, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულებით საბჭოს პერსონალურ შემადგენლობაში გათვალისწინებულია განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, როგორც საბჭოს წევრი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოს პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილება განპირობებულია შესაბამისი თანამდებობის პირის ცვლილებით და მიზნად ისახავს საბჭოს შემადგენლობის შესაბამისობაში მოყვანას მოქმედ ფაქტობრივ

მდგომარეობასთან და საბჭოს დებულებით განსაზღვრულ შემადგენლობასთან.

კომისიამ საკითხის განხილვისას იხელმძღვანელა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისი ნორმებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შესაბამისი დებულებით.

კომისიას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი ცვლილება არის მიზანშეწონილი და უზრუნველყოფს მუნიციპალური საბჭოს პერსონალური შემადგენლობის შესაბამისობას საბჭოს დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

კომისიამ დაადგინა:

1. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ცვლილების შესახებ.
2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს პერსონალურ შემადგენლობაში ტატა ბარამიძის ნაცვლად განისაზღვროს ნათია გოლიაძე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.
3. კომისიას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 ნოემბრის №61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და საბჭოს დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
4. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, აღნიშნული განკარგულების პროექტი წარედგინოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განსახილველად.

მარიგა ჩხიკვიშვილი

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი